



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49212222

თარიღი:10/08/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 58

2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს -საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-9 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს №02/08/01 განკარგულების საფუძველზე:

1. განისაზღვროს 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) თანდართული დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს გადასცეს **2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისათვის წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) განსაზღვრული შენობა-ნაგებობების ნუსხა №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიას.**
3. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის № 36 69 განკარგულება.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



**2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს –
საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისათვის
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია)
შენობა- ნაგებობების ნუსხა**

- საკონცერტო დარბაზი „ივერია“ - ქალაქი წყალტუბო (პარკის ტერიტორია).
- გეგუთის კულტურის სახლი -წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გეგუთი.
- დღნორისის ბიბლიოთეკა--წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დღნორისა.
- მაღლაკის კულტურის სახლი-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მაღლაკი.
- სოფ. დერჩის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დერჩი.
- სოფ. მუხიანის კლუბის შენობა -წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხიანი.
- სოფ. საყულიის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. საყულია.
- სოფ. ოფშკვითის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ოფშკვითი.
- სოფ. ქვილიშორის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვილიშორი.
- სოფ. მეორე უბნის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მეორე უბანი.
- სოფ. ცხუნკურის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხუნკური.